**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

**ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

# ბარამი

ბარამი, XII ს. საქართველოს პოლიტიკური მოღვაწე, ჰერეთის დიდებული, რ-მაც არიშიანთან და თავის დედის ძმასთან – ქავთარ ბარამის ძესთან ერთად 1104 შეიპყრო რანთა და კახთა მეფე აღსართან II და დავით აღმაშენებელს მიჰგვარა. ამით ბ-მა დიდად შეუწყო ხელი კახეთისა და ჰერეთის შესვლას საქართველოს ფეოდალური მონარქიის შემადგენლობაში.

*წყარო:* ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955.

*ლიტ.*: ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 2, თბ., 1983 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 2; პ ა პ უ ა შ ვ ი ლ ი თ., ჰერეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1970.

***თ. პაპუაშვილი***